UDC 339.5(100):341.63
SCOPUS CODE 1403
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-56-60

GATT-ის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში

თათია ღურწკაია ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: t.gurtskaia@gtu.ge

კარლო ღურწკაია ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: k.gurtskaia@gmail.com

რეცენზენტები:

ლ. ბახტაძე, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: lela.bakhtadze@tsu.ge

ა. კურატაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: anzorkuratashvili@yahoo.com

ანოტაცია. GATT-ის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის არსებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გარკვეულწილად განპირობებული იყო მრავალ ქვეყანაში ამკრძალავი ტარიფების და კვოტების შემოღებით, ასევე პროტექციონისტული ღონისძიებების გატარებით, რაც საქონლის იმპორტის წინააღმდეგ იყო მიმართული.

იმისათვის, რომ მსგავს სატარიფო ომებს არ ჰქონოდა ადგილი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1947 წ. ყველაზე გავლენიანი სავაჭრო სახელმწიფოების წარმომადგენლები ჰავანაში(კუბის დედაქალაქში) შეიკრიბნენ **საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის დასაფუძნებლად (International Trade Organization)**. სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციამ ვერ დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა, მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გამო. შესაბამისად, ITO-ს მისია დაეკისრა **გენერალურ შეთანხმებას ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT)**.

GATT-ის არსებობის განმავლობაში მოლაპარაკებათა რვა რაუნდი გაიმართა. შედეგად განვითარებული ქვეყნების მიერ დაწესებული ტარიფები საშუალოდ შემცირდა 40%-ით 1948 წლიდან, დაახლოებით 3%-მდე 2003 წ.

ტარიფების შემცირებასთან ერთად ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ არანაკლებ სერიოზულ დაბრკოლებად იქცა არასატარიფო შეზღუდვები საერთაშორისო ვაჭრობის გზაზე. ამიტომ, ურუგვაის რაუნდის ფარგლებში დიდი ყურადღება დაეთმო არასატარიფო შეზღუდვების შემცირებას. ამასთან, ურუგვაის რაუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა გახდა გადაწყვეტილება **„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“** შექმნის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: GATT; კვოტები; მოლაპარაკებათა რაუნდები; საერთაშორისო ვაჭრობა; ტარიფები.

შესავალი

პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის არსებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გარკვეულწილად განპირობებული იყო მრავალ ქვეყანაში ამკრძალავი ტარიფების და კვოტების შემოღებით, ასევე პროტექციონისტული ღონისძიებების გატარებით, რაც საქონლის იმპორტის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ვითარებაში საერთაშორისო კომპანიებს სულ უფრო უჭირდა საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა და ინვესტიციების განხორციელება. 1930 წ. აშშ-ის მთავრობამ გადაწყვიტა მრეწველობის სამამულო დარგების დაცვა უცხოური კონკურენციისგან და საბაჟო ტარიფები გაზარდა საშუალოდ 53%-მდე. ამასთან, როდესაც აშშ-ის სავაჭრო პარტნიორებმა იგივე ზომები გაატარეს, ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მიიღო მოსალოდნელი კონკურენტული უპირატესობა.

ძირითადი ნაწილი

იმისათვის, რომ მსგავს სატარიფო ომებს არ ჰქონოდა ადგილი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1947 წ. ყველაზე გავლენიანი სავაჭრო სახელმწიფოების წარმომადგენლები ჰავანაში(კუბის დედაქალაქში) შეიკრიბნენ **საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის დასაფუძნებლად (International Trade Organization)**. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მისია საერთაშორისო ვაჭრობის მხარდაჭერაში მდგომარეობდა. სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციამ ვერ დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გამო. შესაბამისად **ITO**-ს მისია დაეკისრა **გენერალურ შეთანხმებას ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT-ს)**. 1947-1994 წწ. GATT-ის ხელმომწერმა ქვეყნებმა აქტიური ქმედებები განახორციელა ბარიერების ლიკვიდაციისთვის საერთაშორისო ვაჭრობის გზაზე.

GATT-ის მიზანი საერთაშორისო ვაჭრობისთვის ეფექტიანი გარემოს შექმნა იყო, რაც დაეფუძნებოდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტული ბრძოლის პრინციპებს, შესაბამისად სარგებელს მოუტანდა ეფექტიან მწარმოებლებს. ამ მიზნის მისაღწევად **GATT**-ის ფარგლებში გაიმართა მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკების რვა რაუნდი ტარიფების, კვოტების და სხვა არასატარიფო ბარიერების შემცირებაზე. რადგან მაღალი ტარიფები თავიდანვე სერიოზული ბარიერს წარმოადგენდა საერთაშორისო ვაჭრობის გზაზე, GATT-ის ხელმომწერი სახელმწიფოების ყურადღება მიმართული იყო სატარიფო პროტექციონიზმის შემცირებისკენ. GATT-ის თითოეულ წევრ-სახელმწიფოს ორგანიზაციაში ერთი ხმა ჰქონდა. გადაწყვეტილებები მიიღებოდა ხმათა

უმრავლესობით, გარდა გამონაკლისისა, როდესაც საჭირო იყო გარკვეული ვალდებულებიდან გადახრის სანქცირება. ასეთ შემთხვევებში საჭირო იყო ხმათა 2/3-ის მხარდაჭერა. სავაჭრო დავების გადასაჭრელად შეიქმნა სპეციალური კომისიები. GATT-ის არსებობის პერიოდში განვითარებული ქვეყნების მიერ დაწესებული ტარიფები საშუალოდ შემცირდა 40%-დან 1948 წ. დაახლოებით 3%-მდე 2003 წ.

GATT-ის ფარგლებში განხორციელებული მოლაპარაკებათა რაუნდები

რაუნდი	**თარიღი**	**მონაწილეთა რაოდენობა**	**ტარიფების შემცირების საშუალო მაჩვენებელი**
ჟენევა	1947	23	35
ანესი	1949	13	-
თორკი	1950-1951	38	25
ჟენევა	1956	26	-
დილონი	1960-1962	45	-
კენედი	1964-1967	62	35
ტოკიო	1973-1979	99	33
ურუგვაი	1986-1994	117	36

მსოფლიო ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლაში ხელშეწყობის მიზნით GATT-ის წევრები ცდილობდნენ საერთაშორისო კომპანიებისთვის უზრუნველეყოთ არადისკრიმინაციული პირობები საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც შესაძლებელი გახდა **უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის** გამოყენებით. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ ნებისმიერი ერთი ქვეყნისთვის შეთავაზებული საბაჟო შეღავათი ვრცელდება სხვა ქვეყნებზეც. მაგალითად, თუ აშშ შეამცირებდა ტარიფს ბრიტანულ სატვირთო ავტომანქანებზე 15%-ით, იმავე მოცულობით უნდა შეემცირებინა იმპორტზე ტარიფები ამავე კლასის ავტომანქანებზე GATT-ის სხვა წევრებისთვის.

GATT-ს საფუძვლად ედო თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის პრინციპი. მიუხედავად ამისა, ამ პრინციპის მომხრეები აცნობიერებდნენ, რომ შიგა პოლიტიკური ზეწოლის შედეგად სახელმწიფოები იძულებული გახდებოდა გადაეხვია თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკისგან. ამასთან, GATT-ის წესებში იყო გარკვეული „ხვრელები“, რაც ქვეყნებს დისკრიმინაციული კვოტების და სხვა არასატარიფო შეზღუდვების დაწესების საშუალებას აძლევდა, GATT-ის შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნების ფორმალური დარღვევის გარეშე. მაგალითად, კვოტები არაქისზე, შაქარსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რაც აშშ-მა 1995 წ. შემოიღო GATT-ის წესებიდან გამონაკლისის სახით, მოქმედებდა ათეულობით წლებში. გამონაკლისი დასაშვები იყო ეროვნული უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე ან საგადასახდელო ბალანსის პრობლემების მოსაგვარებლად. გარდა ამისა, GATT-ის ფარგლებში სახელმწიფოებს უფლება ჰქონდა გარკვეულ გარემოებებში მრეწველობის სამამულო დარგები დაეცვა „ძლიერი“ კონკურენციისგან.

დასკვნა

GATT-ის ფარგლებში მოლაპარაკებათა მერვე რაუნდში იმპორტზე ტარიფები შემცირდა 4,3-დან 3%-მდე. ტარიფების შემცირებასთან ერთად ქვეყნებმა გააცნობიერა, რომ არანაკლებ სერიოზულ დაბრკოლებად იქცა არასატარიფო შეზღუდვები საერთაშორისო ვაჭრობის გზაზე. ამიტომ, ურუგვაის რაუნდის ფარგლებში დიდი ყურადღება დაეთმო არასატარიფო შეზღუდვების შემცირებას. ამასთან, ურუგვაის რაუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა გახდა გადაწყვეტილება **„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“** შექმნაზე.



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ვაჭრობა მკვეთრად გაიზარდა. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის მთლიანმა მოცულობამ 2012 წ. შეადგინა $18,4 ტრლნ. ანუ 2012 წლის მსოფლიო მშპ-ს დაახლოებით 26%. მომსახურებით ვაჭრობა იმავე წელს იყო $4,4 ტრლნ. ევროკავშირზე, აშშ-ზე, კანადასა და იაპონიაზე მსოფლიო სასაქონლო ექსპორტის 46,8%, ჩინეთზე – 11%, სხვა ქვეყნებზე 42,1% მოდიოდა.

ლიტერატურა

1. Griffin, R. W., & Pustay, M. W. (2022). *International business: A managerial perspective* (8th ed.). Pearson.
2. Cameron, R., & Neal, L. (2022). *A concise economic history of the world* (5th ed.). Tbilisi. *(In Georgian)*
3. Krugman, P. R., & Obstfeld, M. (n.d.). *International economics: Theory and policy* (9th ed.).
4. Griffin, R. W., & Pustay, M. W. (2022). *International business: A managerial perspective* (8th ed.). *(Duplicate of source #1)*
5. United Nations. (n.d.). *Legal resources*. https://legal.un.org

UDC 339.5(100):341.63
SCOPUS CODE 1403
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-56-60

The Role and Importance of GATT in International Trade

Tatia Gurtskaia Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: t.gurtskaia@gtu.ge

Karlo Gurtskaia Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: k.gurtskaia@gmail.com

Reviewers:
L. Bakhtadze, Associate Professor Faculty of Economics and business, TSU
E-mail: lela.bakhtadze@tsu.ge
A. Kuratashvili, Associate professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: anzorkuratashvili@yahoo.com

Abstract. The global economic crisis between the First and Second World Wars was to some extent caused by the introduction of prohibitive tariffs and quotas in many countries, as well as protectionist measures aimed at combating the import of goods.

To avoid such tariff wars, after the Second World War, in 1947. Representatives of the most influential countries in trade gathered in Havana (the capital of Cuba) to establish the International Trade Organization. Unfortunately, this organization was unable to start its practical activities due to objections to its authority. Accordingly, the it mission was assigned to the General Agreement on Tariffs and Trade (GATT-s).

During the existence of the GATT, eight rounds of negotiations have been held. As a result, tariffs imposed by developed countries decreased from an average of 40% in 1948 to about 3% in 2003. With the reduction of tariffs, countries realized that non-tariff restrictions on international trade had become no less serious obstacles. That is why much attention was paid to reducing non-tariff restrictions in the framework of the Uruguay Round. However, one of the important achievements of the Uruguay Round was the decision to establish the World Trade Organization

Keywords: GATT; international trade; negotiation rounds; quotas; tariffs.

განხილვის თარიღი 17.02.2025
შემოსვლის თარიღი 18.02.25.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025